KA030123159632318

№ 01-12833 **08 / ივნისი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 18 – 25 ივნისს იტალიაში ქ. რომსა და ქ. ტრიესტეში ,,ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს'' ეგიდით პროექტის - "Promoting Inclusion of People with Mental Health Problems by Advancing Reform Agenda" ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა, რომლის მიზანია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში იტალიაში ჩატარებული დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის გამოცდილების გაზიარება.

ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებით შეხვედრები გაიმართება ქ. რომში 18-20 ივნისს, ხოლო ,,დემოკრატია და საზოგადოების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის'' კონფერენცია ქ. ტრიესტეში 21-23 ივნისს.

აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - მაია ლაგვილავა

ვიზიტის ფარგლებში მგზავრობისა და სასტუმროში განთავსების ხარჯები ანაზღაურდება ,,ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს'' მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მაია ლაგვილავასთვის მიმდინარე წლის 18 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით, დღიური ნორმისა და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია